

## ანოტაცია

საკვლევი ტერიტორია მოიცავს ქიზიყის (სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებს) რეგიონს.

ზემოაღნიშნული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს უკეთ წარმოჩინდეს რეგიონის ტურისტული პოტენციალი და მოხდეს უკვე ათვისებული ან ნაკლებად ათვისებული მარშრუტების პოპულარიზაცია, როგორც ადგილობრივი ისე უცხო ქვეყნის ვიზიტორებისთვის. ანუ, ნაშრომი არ გულისხმობს სრულიად ახალი და ყველასთვის უცნობი ტერიტორიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), „აღმოჩენას“ და მათ ტურისტულ პოპულარიზაციას. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს გარკვეული სიახლის ძებნასთან რაც გულისხმობს ნაცნობი, ტერიტორიების უკეთ წარმოჩენას.

საკვლევი რეგიონი საინტერესო გახლდათ თავისი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ძეგლებით. რა თქმა უნდა, აღნიშნულ რეგიონის ტერიტორია, მნიშვნელოვნად არის ათვისებული და შემუშავებულია ტურისტული მარშრუტებიც. თუმცა მივიჩნევთ რომ პოტენციალი გაცილებით მაღალია და კიდევ უამრავი საინტერესო ტურისტული ღონისძიების დაგეგმვა-განხორციელებაა შესაძლებელი. ნაშრომის მიზანია მოხდეს ბუნებრივი და კულტურული ძეგლების სინთეზურად წარმოჩენა.

ნაშრომის ფარგლებში მოხდა ქიზიყის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და ამის საფუძველზე შევადგინე მარშრუტების რუკები, გეოინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, დავიტანე ტურისტული ელემენტები, ბუნებისა და არქიტექტურული ძეგლები. შედეგები გადმოცემულია სამაგისტრო ნაშრომში.

## Annotation

The Research area includes Kiziki (Signaghi and Dedoplistkaro municipalities) region. To accomplish the aim of the work is to better represent the region's tourism potential and promote already more or less utilized routes, both for local and foreign visitors. So, the work does not involve "Discovering" a completely new and unknown territory for everyone (if applicable), and not even its tourism promotion. In this case, we are dealing with some sort of novelty which means searching for known areas as well as representing them the best possible way.

The research region was interesting for its natural and historical - cultural monuments. Of course, the territory of the defined region has already been utilized and the tourist routes are also drawn out. However, we believe the potential is much higher, and there are more possibilities exist for planning and implementation of interesting tourist events. The aim of this work is to present a synthesis of the natural and cultural heritage.

Within the work it was researched and studied what the tourism potential of Kiziki is and on this basis I drew up the maps of the routes using Geo-informative technologies and placed tourist elements, nature and architectural monuments on them. The results of which are set out in the master's thesis.